შპს „პონტიკა“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანო
ს/კ 402073448
მისამართი: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის ქ. №183/185
ტელ.: +995555295558
Email: abuashvili.lala@gmailcom

სსტ ისო/იეკ 17020:1012/2013
GAC-IB-0306

ქალაქ თბილისში, გლდანში, მარატ ნოზაძის ქუჩა № 20-ში, № 01.11.12.015.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, შპს „ბაუმაისტერ“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაპროექტებული მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მომიჯნავე შენობების ტექნიკურ მდგომარეობის შეფასება ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, საპროექტო შენობის მშენებლობის მათზე ზეგავლენის დადგენის მიზნით

შეფასება/ინსპექტირების ანგარიში

№ TC 4692/19.06.2024

მომსახურების სფერო: *ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების), შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება*

ინსპექტირების დაწყების თარიღი: *16.05.2024*

ინსპექტირების დასრულების თარიღი: *18.06.2024*

დამკვეთი: *შპს „ბაუმაისტერ“ ს/კ 404587318*

საფუძველი: *ხელშეკრულება №1088/05-24; განაცხადი*

შემსრულებელი ექსპერტები და შემსრულებლების კვალიფიკაცია:

მურმან გეგია. უმაღლესი განათლებით ინჟინერ–მშენებელი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის კვალიფიკაციით. სპეციალობით მუშაობის 49 წლის სტაჟით

სპეციალისტების წინაშე დასმული ამოცანა:

ქალაქ თბილისში, გლდანში. მარატ ნოზაძის ქუჩა № 20-ში, № 01.11.12.015.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, შპს „ბაუმაისტერ“-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე დაპროექტებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მომიჯნავედ მდებარე შენობების ტექნიკურ მდგომარეობის შეფასება ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, საპროექტო შენობის მშენებლობის მათზე ზეგავლენის დადგენის მიზნით

წარმოდგენილი მასალები:

1. „ ქ. თბილისი, გლდანი,მარატ ნოზაძის ქუჩა №20, ს.კ. 01.11.12.015.152,მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. კონსტრუქციული ნაწილი.(„ბ“ ბლოკი) პროექტის მთავარი ინჟინერი დ. მაისურაძე, კონსტრუქტორი რ. სილაგაძე. 2023 წ.;

2. „ა“ ბლოკის კონსტრუქციები. ქვაბული, საძირკვლები, პანდუსი, კედლები და დიაფრაგმები“. შესრულებულია შპს „მაქსი სტუდიო“-ს მიერ. კონსტრუქტორი მ. მექვაბიშვილი;

3. „არქიტექტურული პროექტი. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ქალაქი თბილისი, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ, (ს.კ. 01.11.12.015.152). შესრულებულია შპს „არქიგრამ“-ის მიერ. მთავარი არქიტექტორი გაბრიელ გურგენიძე. 2021 წ.;

4. „არქიტექტურული პროექტი. („ა“ ბლოკი). ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ.(ს/კ 01.11.12.015.152). შესრულებულა შპს „არქიგრამ“-ის მიერ. მთავარი არქიტექტორი გაბრიელ გურგენიძე. 2019 წ.;

5. „არქიტექტურული პროექტი. გენ-გეგმა. შესრულებულია შპს „არქიგრამ“-ის მიერ. მთავარი არქიტექტორი გაბრიელ გურგენიძე. 2019 წ.;

6. „თბილისი, გლდანი, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ ნაკვ. № 01.11.12.015.152-ში მრავალბინიან საცხოვრებელი სახლების პროექტი. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისტექნიკური ანგარიში. შესრულებულია შპს „თბილინვესტპროექტი“-ს მიერ. ინჟინერ-გეოლოგი გ. სიყმაშვილი. 2020 წ.მთავარი არქიტექტორი გაბრიელ გურგენიძე. 2019 წ.

7. „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ახმეტელს მეტროს მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობების აზომვითი პროექტი“ შესრულებულია შპს „ჯეოპროექტი“-ს მიერ. 2007 წ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები – ,, სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01 – 09).
- ✓ ,,საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია“, დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ, 1991 წლის 17 ივლისს. თბილისი 1992წ, 140 გვ.
- ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება №71 (2014 წლის 15 იანვარი) საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტის დამტიკიცების შესახებ;
- ✓ 2017 წლის 6 თებერვლის, საქართველოს მთავრობის დადგენილება N63-ში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება N41 „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები;
- ✓ СНиП II-22-81* Каменные и Армокаменные Конструкций. (სნ და წ II-22-81* ქვის და არმოქვის კონსტრუქციები).
- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები - „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08).
- ✓ СП 13-102-2003 ,,ნაგებობების და შენობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები”
- ✓ PNT/IB/IP-7.1-23-05-A22 ინსპექტირების პროცედურა

გამოკვლევა

დავალების თანახმად ჩვენს მიერ ვიზუალურად დათვალიერებული და შესწავლილ იქნა ქალაქ თბილისში, გლდანში, მარატ ნოზაძის ქუჩა №20-ში, შპს „ბაუმაისტერ“-ის (ID ნომერი 404587318) საკუთრებაში არსებული, №01.11.12.015.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე შენობების ტექნიკური მდგომარეობა, დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დროს მათზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებისა და შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით.

საექსპერტო დოკუმენტაცია წარმოდგენილია შემდეგი ნაწილებით (წარმოდგენილი მასალების სისწორესა და ავთენტურობაზე პასუხისმგებელია დამკვეთი):

1. „ქ.თბილისი, გლდანი, მარატ ნოზაძის ქუჩა №20, ს.კ. 01.11.12.015.152, მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. კონსტრუქციული ნაწილი. პროექტის მთავარი ინჟინერი დ. მაისურაძე, კონსტრუქტორი რ. სილაგაძე. 2023 წ.;
2. „ა“ ბლოკის კონსტრუქციები. ქვაბული, საძირკვლები, პანდუსი, კედლები და დიაფრაგმები.“ შესრულებულია შპს „მაქსი სტუდიო“-ს მიერ. კონსტრუქტორი მ. მექვაბიშვილი.
3. „არქიტექტურული პროექტი. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ქალაქი თბილისი, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ, (ს.კ. 01.11.12.015.152). შესრულებულია შპს „არქიგრამ“-ის მიერ. მთავარი არქიტექტორი გაბრიელ გურგენიძე. 2021 წ.;
4. „არქიტექტურული პროექტი. („ა“ ბლოკი) ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ.(ს/კ 01.11.12.015.152). შესრულებულია შპს „არქიგრამ“-ის მიერ. მთავარი არქიტექტორი გაბრიელ გურგენიძე. 2019 წ.;
5. „არქიტექტურული პროექტი. გენ-გეგმა. შესრულებულა შპს „არქიგრამ“-ის მიერ. მთავარი არქიტექტორი გაბრიელ გურგენიძე. 2019 წ.;
6. „თბილისი, გლდანი, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ ნაკვ. № 01.11.12.015.152-ში მრავალბინიან საცხოვრებელი სახლების პროექტი. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისტექნიკური ანგარიში. შესრულებულია შპს „თბილინვესტპროექტი“-ს მიერ. ინჟინერ-გეოლოგი გ. სიყმაშვილი. 2020 წ. მთავარი არქიტექტორი გაბრიელ გურგენიძე. 2019 წ.;
7. „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობების აზომვითი პროექტი“. შესრულებულია შპს „ჯეოპროექტი“-ს მიერ. 2007 წ.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა თექვსმეტსართულიანია, ერთი მიწისქვეშა სართულით, გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 65.10 X17.80 მ. შენობის სიმაღლე პირველი სართულის იატაკიდან 59.35 მ-ია. სარდაფის სართულის იატაკი პირობითი ±0.000 ნიშნულიდან -3.20 ნიშნულზეა განთავსებული. პირობითი ±0.000 ნიშნულად მიღებულია პირველი სართულის იატაკის დონე, რომელსაც შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 464.50 ტოპოგეგმის მიხედვით.

პროექტის მიხედვით, სამშენებლო მოედნის რელიეფი უსწორმასწოროა, ტექტოგენური, მცირე ქანობით ჩრდილოეთიდან სახრეთისკენ. შენობის განაპირა ღერძები წითელი ხაზებიდან დაშორებულია: აღმოსავლეთით 0.40 მ-ით; სამხრეთით: - „12“ ღერძთან 12.02 მ-ით; „1“ ღერძთან - 10.70 მ-ით; დასავლეთით: - „ა“ ღერძთან-4.63 მ-ით; „დ“ ღერძთან - 3.63 მ-ით.

მშენებლობის რაიონი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №71 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის „სეისმომედეგი მშენებლობა“-ს საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონას სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A= 0,17.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშის მიხედვით სამშენებლო მოედანზე გამოყოფილია გრუნტის 6 ფენა, მათ შორის 5 სგე შენობის დასაფუძნებლად შერჩეულია სგე I - თიხა მუქი-ყავისფერი კენჭების იშვიათი ჩანართებით, ძნელპლასტიური კონსტიტენცის და სგე II-თიხა მოყვითალო-მონაცრისფრო ლაქებით ქვშის ლინზებით და შუაშრეებით, ხვინჭის ჩანართებით, ძნელპლასტიური კონსისტენციის. მათი მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობებია:

სგე I - სიმკვრივე ρ=1.90 გ/სმ^3; შიგა ხახუნის კუთხე φ=17^0; დეფორმაციის მოდული E=150 კგძ/სმ^2; ხვედრითი შეჭიდულობა C=0.42 კგძ/სმ^2; პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0=2.70 კგძ/სმ^2.

სგე II - სიმკვრივე ρ=1.95 გ/სმ^3; შიგა ხახუნის კუთხე φ=18^0; დეფორმაციის მოდული E=160 კგძ/სმ^2; ხვედრითი შეჭიდულობა C=0.51 კგძ/სმ^2; პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0=3.00კგძ/სმ^2.

გრუნტების განსხვავებული თვისებების გასანეიტრალებლად, საძირკვლის მონოლითური რკინაბეტონის ფილის ქვეშ ეწყობა 100 სმ სისქის შრეობრივად დატკეპნილი ბალასტის ფენა, რომლის საანგარიშო მაჩვენებლებია: შიგა ხახუნის კუთხე φ=35^0; ხვედრითი შეჭიდულობა C=1.0 კგძ/სმ^2; პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0=3.50კგძ/სმ^2.

საპროექტო შენობის სამშენებლო მოედანს 20 მ-იან რადიუსში ესაზღვრება: **ჩრდილოეთიდან** - ამავე მიწის ნაკვეთზე განთავსებული მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხორებელი სახლის „ა“ ბლოკის მშენებარე შენობა. **ჩრდილო-აღმოსავლეთიდან** - თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.12.015.182 (ქალაქი თბილისი, ანგია ბოჭორიშვილის ქუჩა №33ა), მასზე განთავსებული მრავალსართულიანი მრვალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობით. **აღმოსავლეთიდან** - საზოგადოებრივი სივრცე - ანგია ბოჭორიშვილის ქუჩა და მის გასწვრივ, მოპირდაპირე მხარეს მდებარე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.12.006.009 (ქალაქი თბილისი, ანგია ბოჭორიშვილის ქუჩა №35), მასზე განთავსებული შენობებით. **სამხრეთიდან** - საზოგადოებრივი სივრცე - მარატ ნოზაძის ქუჩა და მის გასწვრივ მოპირდაპირე მხარეს მდებარე: **ა)** შპს „ინტერლოჯისტკი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.056 (ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა №17ბ); **ბ)** შპს „ნათება“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.057 (ქალაქი თბილისი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვეთი № 1/47), და მასზე განთავსებული ერთსართულიანი შენობა. **გ)** შპს „ინტერლოჯისტკი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.089 (ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა, №17), **დ)** თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.051 (ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა, №15), და მასზე განთავსებული სამსართულიანი შენობა. **დასავლეთიდან** - **ა)** თანასაკუთრებაში ასებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.12.015.153 (ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა, №16), მასზე განთავსებული ერთსართულიანი და ორსართულიანი შენობებით. **ბ)** თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.12.015.147 (ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა, №18), და მასზე განთავსებული ორსართულიანი შენობა. **გ)** თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.12.015.245 (ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა, №18ა), და მასზე განთავსებული ორსართულიანი შენობა. **ჩრდილო-დასავლეთიდან** - თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.12.015.256 (ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა, №16)

გამოკვლევის დაწყების დღისთვის მშენებლობაზე შენობის ნულოვან ნიშნულამდე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობის ეტაპი დასრულებულია. მიმდინარეობს მესამე სართულის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

სიტუაციის გამოკვლევისდროინდელი მდგომარეობა ასახულია ფოტომასალაზე, რომელიც დასკვნას თან ახლავს დანართის სახით.

საპროექტო შენობის მშენებლობის ზეგავლენა მიჯნაზე არსებულ შენობებზე

1) **„ა“ და „ბ“ ბლოკების ურთიერთგავლენა.** №01.11.12.015.152 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე დაპროექტებული საცხოვრებელი სახლის „ბ“ ბლოკის ჩრდილოეთით მდებარეობს ამ საცხოვრებელისახლის „ა“ ბლოკის მშენებარე შენობა. შენობა კარკასული ტიპისაა, მონოლითური რკინაბეტონის ხისტკვანძებანი კარკასით, თექვსმეტსართულანია ორი მიწისქვეშა სართულით. ამჟამად სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები დამთავრებულია. მისი მზიდი კონსტრუქციები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. შენობების არქიტექტურული პროექტების მიხედვით ±0.000 პირობითი ნიშნული - პირველი სართულების იატაკების დონე შეესაბამება 464.65 აბსოლუტურ ნიშნულს ტოპოგეგმის მიხედვთ. კონსტრუქციული პროექტის მიხედვით „ბ“ ბლოკი დაფუძნებულია ხელოვნურ ფუძეზე 120 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის ფილით. საძირკვლის ფილის ძირის აბსოლუტური ნიშნულია 464.50-3.20-1.20=460.10. **„ა“ ბლოკი „ა/3“ ღერძზე** 35 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილით 459.05-0.35=458.70 ნიშნულზე დაფუძნებულია ხელოვნურ ფუძეზე. საძირკვლების ჩაღრმავებებს შორის სხვაობა შეადგენს 1.40 მ-ს. ტექნიკური რეგლამენტის „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ დანართი 2, მე-10 მუხლი „ საძირკვლის ჩაღრმავების შერჩევა გრუნტული პირობების მიხედვით, პ.5-ის გათვალისწინებით, საძირკვლების ურთიერთგანლაგებისას დაკმაყოფილებული უნდა იყოს პირობა:

$$\Delta h \leq a \, tg\Psi$$

სადაც, Δh არის საძირკვლების ჩაღრმავებებს შორის სხვაობა, a - საძირკვლებს შორის მანძილის ჰორიზონტალური გეგმილი; $tg\Psi=tg\varphi_1+c_1/p$, აქ φ_1 - გრუნტის შიგა ხახუნის კუთხეა, ხოლო p - საშუალო წნევაა ზემოთ განლაგებული საძირკვლის ძირზე.

განსახილველ შემთხვევაში a=4.80 მ.; $tg\varphi_1= tg35^0=0.70$; $c_1=0.25$; p=3.50.

Δh≤ 4.80x(0.70+0.25/3.50)=3.70 მ. 1.40<3.70 მ.

პირობა დაკმაყოფილებულია, საძირკველზე მოსული წნევის გავრცელების წირი არ კვეთს მიმდებარე საძირკველს.

„ა“ ბლოკი „ა“ ღერძზე 130 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილით 459.05-1.30=457.75 ნიშნულზე დაფუძნებულია ხელოვნურ ფუძეზე. საძირკვლების ჩაღრმავებებს შორის სხვაობა შეადგენს 2.35 მ-ს. მანძილი საძირკვლებს შორის a=17.85 მ.; დასაშვები სხვაობა საძირკვლების ჩაღრმავებებს შორის

Δh≤ 17.85x(0.70+0.25/3.50)=13.70 მ. 2.35<13.70 მ. პირობა დაკმაყოფილებულია.

„ბ“ ბლოკის საძირკველზე მოსული წნევის გავრცელების წირი არ კვეთს „ა” ბლოკის საძირკველს და მასზე უარყოფითი გავლენა არექნება.

2) საპროექტო შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით № 01.11.12.015.182 განთავსებული შენობა რვასართულიანია სარდაფის სართულით, მშენებლობა დაწყებულია 2016 წელს. ამჟამად სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები დამთავრებულია. ვიზუალური დათვალიერბით, შენობის კონსტრუქციულ ელემენტებს ბზარები და სხვა დეფორმაციები არ ეტყობა. შენობის პირობითი ±0.000 ნიშნული - პირველი სართულის იატაკის დონე შეესაბამება 466.60 აბსოლუტურ ნიშნულს. საძირკვლის ძირი ჩაღრმავებულია -4.00 ნიშნულზე, რაც შეესაბამება 462.60 აბსოლუტურ ნიშნულს. შენობა საპროექტო შენობიდან დაშორებულია 15.25 მ-ით. საძირკვლების ჩაღრმავევებს შორის სხვაობა შეადგენს 2.50 მ-ს. ზემოთ მოყვანილი ფორმულით გაანგარიშების შედეგად ვღებულობთ საძირკვლების ჩაღრმავებებს შორის დასაშვებ სიდიდეს:

Δh≤15.25x(0.33+0.51/3.0)=7.63 მ. 2.50<7.63 მ.

პირობა დაკმაყოფილებულია, საძირკველზე მოსული წნევის გავრცელების წირი არ კვეთს მომიჯნავე საძირკველს და საპროექტო შენობის მშენებლობას განხილულ შენობაზე უარყოფითი გავლენა არექნება.

3) საპროექტო შენობის აღმოსავლეთით, ანგია ბოჭორიშვილის ქუჩის გასწვრივ, მოპირდაპირე მხარეს მდებარე, № 01.11.12.006.009 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობებიდან ყველაზე ახლომდებარე შენობა საპროექტო შენობიდან დაშორებულია 50 მ-ით, ამიტომ მასზე ზეგავლენა არ განიხილება.

4) საპროექტო შენობიდან სამხრეთით მომიჯნავე მარატ ნოზაძის ქუჩის გასწვრივ მოპირდაპირე მხარეს მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდებით: № 01.11.13.001.056 და № 01.11.13.001.089 თავისუფალია შენობა-ნაგებობებისაგან. მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.057 განთავსებული ერთსართულიანი შენობა საპროექტო შენობიდან დაშოებულია 32.50 მ-ით, ხოლო მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.051 განთავსებული სამსართულიანი შენობა დაშორებულია 31.60 მით. აქედან გამომდინარე, საპროექტო მშენებლობის მათზე ზეგავლენა არ განიხილება.

5) საპროექტო შენობიდან დასავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით № 01.11.12.015.147 განთავსებული საცხოვრებელი შენობა ორსართულიანია, სარდაფის გარეშე. აშენებულია გასული საუკუნის 60-70-ან წლებში საწარმოო დანიშნულებით. საცხოვრებელის ფუნქცა შეიძინა 90-იან წლებში. შენობა გეგმაში

მართკუთხა ფორმისაა დაახლოებითი ზომებით 55.0X13.0 მ. შენობის კონსტრუქციული სქემაა არასრული კარკასი, რომელიც რესპუბლიკაში დღეს მოქმედი სეისმური ნორმებით პნ 01.01-09, „სეისმომედეგი მშენებლობა“, თავი III, მუხლი 10, პუნქტი 6, დაუშვებელია. შენობის პერიმეტრზე მზიდი კედლები და შიდა ტიხრები შესრულებულია სილიკატური აგურით, რაც ასევე დაუშვებელია ამავე სეისმური ნორმის თავი III, მუხლი 15, პუნქტი 1-ით. სართულშუა დასასხვენო გადახურვა შესრულებულია ანაკრები რკინაბეტონის ფილებით, რომელთა დონეზეც მოწყობილია რკინაბეტონის სარტყელი. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ლითონის ჩანებზე მოწყობილი რკინაბეტონის ანაკრები საფეხურებით. ჩვენ ვიზუალური დათვალიერებით შევისწავლეთ შენობის ფასადებზე არსებული მდგომარეობა. ფასადის ერთ-ერთი ფანჯრის რკინაბეტონის ზღუდარზე წარმოქმნილია დახრილი მიმართულების ბზარი. ფასადის ზოგიერთ ადგილზე წარმოქმნლია დახრილი მიმართულების ზედაპიული ბზარები. ერთ-ერთი ფანჯრის თავზე რკინაბეტონს სარტყელის არმატურა გაშიშვლებულია. ფასადზე ფრაგმენტულად ჩამოცვენილია ბათქაში და გაშიშვლებულია კედლის წყობა. რამოდენიმე ადგილზე კედლის გაშიშვლებული აგურის და სამშენებლო ბლოკის წყობა გამოფიტულია ეროზიულიი პროცესების გამო. იმის გამო, რომ მცხოვრებთა ადგილზე არყოფნის გამო ჩვენ ვერ მოვახერხეთ შენობის შიდა სივრცის დათვალიერება, ჩვენ დავეყრდენით ამ შენობაზე სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული უფრო ვრცელი ექსპერტიზის 2024 წლის 11 აპრილის №00208002 დასკვნას. დასკვნის მიხედვით კედლებზე არსებულ ბზარები ადრეული პერიოდისაა და გამოწვეულია შენობის ხანგრძლივი ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი მიწისძვრებით, ტექნიკური მოუვლელობით და ასაკობრივი ცვეთით. შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მისი ექსპლუატაცია შესაძლებელია, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული შენობების კონსტრუქციული სქემა ვერ აკმაყოფილებს სეისმური ნორმების მოთხოვნებს, შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით აუცილებელია მოხდეს მათი გამაგრება შესაბამისად შედგენილი პროექტის მიხედვით.

განხილული შენობისა და საპროექტო შენობის ურთიერთგავლენის შეფასება.

საძირკვლების ჩაღრმავებებს შორის დასაშვებ სხვაობას გამოვითვლით ზემოთ მოყვანილი ფორმულით

$$\Delta h \le a \operatorname{tg}\Psi \quad \text{სადაც} \quad \operatorname{tg}\Psi = \operatorname{tg}\varphi_1 + c_1/p,$$

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიშის მიხედვით, ორსართულიანი შენობა ლენტური საძირკვლით დაფუძნებულია ფენა 2-ზე, თიხა მუქი-ყავისფერი, კენჭების იშვიათი ჩანართებით, ძნელპლასტიური კონსისტენციის, შემდეგი

მახასიათებლებით: შიგა ხახუნის კუთხე φ=17⁰; ხვედრითი შეჭიდულობა C=0.42 კგძ/სმ²; პირობითი საანგარიშო წინაღობა R₀=2.70 კგძ/სმ². მანძილი შენობებს შორის არის 3.20 მ, ხოლო საძირკვლებს შორის მანძილის ჰორიზონტალური გეგმილი a=2.90მ.

P=N/Fსაძ N=Nკედ+Nსაძ. Nკედ=6.0მ x 0.40მ x 2.0ტ/მ³=4,80 ტ

Nსაძ.=0.80x0.40x2.50+0.80x0.40x2.50 = 1.60 ტ

N= 4,80 ტ + 1.60 ტ=6.40ტ Fსაძ=0.80 მ² tg35⁰=0.306

P=6.4/0.80=8.0 ტ/მ²=0.80 კგ/მ²

Δh ≤2.90x(0.306+0.42/0.80)=2.90x0.831=2.41 მ.

„ბ“ ბლოკის საძირკვლის ძირის ნიშნულია 460.10, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიშის მიხედვით, ორსართულიანი შენობა ლენტური საძირკვლით დაფუძნებულია 462.30 ნიშნულზე. სხვაობა შეადგენს 2.20 მ-ს, რაც ნაკლებია დასაშვებ 2.41 მ-ზე. ამრიგად, საძირკვლიდან წნევის გავრცელების წირი არ კვეთს მომიჯნავე შენობის საძირკველს და ურთიერთგავლენას ადგილი არ ექნება. მშენებლებმა აღნიშნეს, რომ საპროექტო შენობას და განხილულ შენობას შორის მცირე მანძილის გამო, ქვაბულის მოწყობის დროს, არსებული შენობის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, დამონტაჟებული იყო ქვაბულის ფერდის დროებითი გამაგრება.

6) საპროექტო შენობიდან დასავლეთით მდებარე № 01.11.12.015.245 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა წარმოადგენს № 01.11.12.015.147 საკადასტრო კოდის მიწის ნაკვეთზე მდებარე ორსართულიან შენობაზე მიშენებულ ნაკვეთურს. მისი ძირითადი ნაწილი ერთსართულიანია, აშენებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში. კედლები სილიკატური აგურის წყობითაა შესრულებული, რაც დღეს მოქმედი სეისმური სეისმური ნორმებით პნ 01.01-09, „სეისმომედეგი მშენებლობა“, თავი III, მუხლი 15, პუნქტი 1, დაუშვებელია. შენობა გადახურულია ანაკრები რკინაბეტონის ფილებით. კედლებს აქვს მონოლითური რკინაბეტონის ანტისეისმური სარტყელი. შენობის ნაწილზე მოგვიანებით განხორციელებულია დაშენება და მიშენება წვრილი სამშენებლო ბლოკით. მიშენებული და დაშენებული ნაწილები დახურულია ხის კონსტრუქციებზე მოწყობილი თუნუქის ფურცლების ბურულით. ჩვენ შენობა ვიზუალურად შევისწავლეთ გარედან და ერთ-ერთი მცხოვრების ბინა. დანარჩენი შიდა სივრცის შესწავლა მეპატრონეთა არყოფნის გამო ვერ მოხერხდა. ფასადის უმეტეს ნაწილზე ბათქაში ჩამოცვენილია და კედლის წყობა გაშიშვლებულია. ზოგიერთ ადგილზე აგურის და საკედლე ბლოკის წყობა გამოფიტულია. დათვალიერებულ საცხოვრებელ ბინაში მნიშვნელოვანი ბზარები და სხვა დაზიანებები არ აღინიშნება. კედლებზე რამოდენიმე ადგილზე აღინიშნება მცირე ზომის ზედაპირული ბზარები. მთლიანი შენობის მდგომარეობის შეფასებისას ჩვენ

დავეყრდენით სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული უფრო ვრცელი ექსპერტიზის 2024 წლის 11 აპრილის №00208002 დასკვნას, რომლის მიხედვით შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. შენობის კონსტრუქციული სქემა მოქმედ ნორმებთან შეუსაბამოა. შენობაზე არსებული დაზიანებები გამოწვეულია ასაკობრივი ცვეთით, ტექნიკური მოუვლელობით და ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი მიწისძვრებით.

შენობა საპროექტო შენობიდან დაშორებულია 4.50 მ-ით. ეს მანძილი მეტია მიმდებარე შენობის დაშორებაზე, რომლისთვისაც ზემოთ ჩატარებული გამოთვლით დადგინდა,რომ აკმაყოფილებს საძირკვლების ჩაღრმავებებს შორის დასაშვები სხვაობის პირობას. რადგანაც ამ ორი შენობის დაფუძნება ფუძეზე ერთნაირია, მეტი დაშორების შემთხვევაშიც დაკმაყოფილებულია ზემოთ აღნიშნული პირობა. მაშასადამე, № 01.11.12.015.245 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის საძირკვლიდან წნევის გავრცელების ხაზი არ კვეთს საპროექტო შენობის საძრკველს და ურთიერთგავლენას ადგილი არ ექნება.

7) საპროექტო შენობიდან დასავლეთით მდებარე № 01.11.12.015.153 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა №5 (საკადასტრო გეგმის მიხედვით) საპროექტო შენობიდან დაშორებულია 10.5 მ-ით. ზომით 6.0X3.0 მ. აშენებულია მსხვილი საკედლე ბლოკებით, გადახურულია ანაკრები გადახურვის ფილებით. შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. წინა შემთხვევის ანალოგიურად, საპროექტო შენობასთან ურთიერთგავლენა არ ექნება. ამავე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა შენობა 11 (საკადასტრო გეგმის მიხედვით) №5 შენობაზე მიშენებული, აგურის და ხის კედლებიანი მცირე ზომის შენობაა. შენობა ამორტიზებულია.

8) საპროექტო შენობიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე № 01.11.12.015.256 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი თავისუფალია შენობა-ნაგებობებისგან.

ინსპექტორი: /მურმან გეგია/

დასკვნა

ქალაქ თბილისში, გლდანში, მარატ ნოზაძის ქუჩა № 20-ში, № 01.11.12.015.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, შპს „ბაუმაისტერ“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაპროექტებელი „მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“-ს მომიჯნავედ მდებარე შენობების ტექნიკური მდგომარეობის და საპროექტო შენობის მშენებლობის მათზე ზეგავლენის შესწავლით დადგინდა, რომ საპროექტო სამშენებლო მოედნიდან 20 მ-იან რადიუსში მდებარე მიწის ნაკვეთებიდან, მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდებით: № 01.11.13.001.056; № 01.11.13.001.089; № 01.11.12.015.256 თავისუფალია შენობა-ნაგებობებისგან. № 01.11.12.006.009; № 01.11.13.001.057; № 01.11.13.001.051 საკადასტრო კოდებით რეგსტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების საპროექტო შენობიდან დიდი დაშორების გამო ამ შენობებზე საპროექტო მშენებლობის გავლენა არ განხილულა. 01.11.12.015.152; № 01.11.12.015.182; № 01.11.12.015.153 საკადასტრო კოდების მქონე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საპროექტო შენობის საძირკვლიდან წნევის გავრცელების ხაზი არ კვეთს ამ შენობების საძირკვლებს და გავლენას არ ახდენს მათზე. № 01.11.12.015.147 და № 01.11.12.015.245 საკადასტრო კოდების მქონე მიწის ნაკვეთებზე მდებარე საცხოვრებელი შენობების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ეს გამოწვეულია მათ კედლებზე არსებული ბზარებით და სხვა სახის დაზიანებებით, რომლებიც ადრეული პერიოდის წარმოშობისაა და გამოწვეულია ასაკობრივი ცვეთით, ტექნიკური მოუვლელობით და გადატანილი მიწისძვრებით. ამ შენობების საძირკვლებიდან გავრცელებული წნევის ხაზი არ კვეთს საპროექტო შენობის საძირკველს და აქედან გამომდინარე უარყოფითი ურთიერთგავლენა არ ექნებათ. ობიექტზე დაკავებული მშენებლების ინფორმაციით, ქვაბულის მოწყობის დროს ორსართულიანი საცხოვრებელი შენობის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, საპროექტო შენობის „1“ ღერძის გასწვრივ მოწყობილი იყო ქვაბულის ფერდის დროებთი გამაგრება, რამაც უზრუნველყო ორსართულიანი შენობის დაცვა დაზიანებისგან. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ № 01.11.12.015.152 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე საპროექტო შენობის - საცხოვრებელი სახლის „ბ“ ბლოკის მშენებლობის დროს დაცული იქნება მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე

შენობების ტექნიკური მდგომარეობა და შესაძლებელი იქნება მათი უსაფრთხო ექსპლუატაცია მშენებლობის დასრულების შემდეგაც.

ინსპექტორი: /მურმან გეგია/

ტექნიკური მენეჯერი /დავით ჯიბლაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: /ლალი აბუაშვილი/

კვლევის ამსახველი ფოტომასალა



მარატ ნოზაძის ქ. №20 საცხოვრებელი სახლის „ბ“ ბლოკის მშენებლობა



შენობის ნულოვან ნიშნულამდე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობის ეტაპი დასრულებულია. მიმდინარეობს მესამე სართულის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.



მარატ ნოზაძის ქ. №20 საცხოვრებელი სახლის „ბ“ ბლოკი



ანგია ბოჭორიშვილის ქ. №33ა მრავალსართულიანი
საცხოვრებელი სახლი



ანგია ბოჭორიშვილის ქუჩა



მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.12.006.009
მასზე განთავსებული შენობებით



მარატ ნოზაძის ქუჩა



მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.056;
თავისუფალია შენობა- ნაგებობებისგან



მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.057
მასზე განთავსებული ერთსართულიან შენობით



მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.089;
თავისუფალია შენობა-ნაგებობებისგან



მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.051
მასზე განთავსებულისამსართულიანი შენობით



მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით № 01.11.12.015.153
განთავსებული შენობა №5



მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით № 01.11.12.015.153
განთავსებული შენობა №11



მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით № 01.11.12.015.147
მდებარე შენობა



დახრილი ბზარი ფანჯრის ზღუდარზე



რამოდენიმე ადგილზე კედლის გაშიშვლებული აგურის და სამშენებლო ბლოკის წყობა გამოფიტულია



ერთ-ერთი ფანჯრის თავზე რკინაბეტონის სარტყელის არმატურა გაშიშვლებულია.



ფასადზე ფრაგმენტულად ჩამოცვენილია ბათქაში და გაშიშვლებულია კედლის წყობა



მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით № 01.11.12.015.245
მდებარე შენობა



ფასადის უმეტეს ნაწილზე ბათქაში ჩამოცვენილია და
კედლის წყობა გაშიშვლებულია. ზოგიერთ ადგილზე
აგურის და საკედლე ბლოკის წყობა გამოფიტულია.



კედლებზე რამოდენიმე ადგილზე აღინიშნება მცირე ზომის ზედაპირული ბზარები.



ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში კედლებზე რამოდენიმე ადგილზე აღინიშნება მცირე ზომის ზედაპირული ბზარები.



ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში კედლებზე რამოდენიმე ადგილზე აღინიშნება მცირე ზომის ზედაპირული ბზარები.



№ 01.11.12.015.256 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი თავისუფალია შენობა-ნაგებობებისგან.

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0306

ადასტურებს, რომ

შპს „პონტივა“-ს

A - ტიპის ინსპექტირების ორგანო

აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის

მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თანდართულ სფეროში

მის.: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის №183/185

იხ. სფერო და სტატუსი

გაცემულია 17 იანვარი 2023 წელი

ძალაშია 17 იანვარი 2027 წელი

გენერალური დირექტორი

მისამართი: საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზ. № 67ა www.gac.gov.ge

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი GAC-IB-0306
განკარგულება №06/270
თარიღი: 27.12.2022 წელი

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე

სფეროს აქტუალიზაცია
განკარგულება №01/88
თარიღი: 12.09.2023 წ.

A -ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო

შპს „პონტიკა“

მისამართი: ქ. თბილისი,შ. ნუცუბიძის №183/185;

N	ინსპექტირების ობიექტი	ინსპექტირების ტიპი და ზღვარი	მეთოდები და პროცედურები
1.	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან ან/და პროექტთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 14 იანვრის დადგენილება N55); 5. ВниР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6. ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7. ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8. PNT/IB/IP-7.1-22-04-A19 ინსპექტირების პროცედურა
2.	ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით)	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, შესყიდვების დოკუმენტებთან, მშენებლობის დროისთვის არსებულ საშუალო საბაზრო ფასებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერებისა (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV-82); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 14 იანვრის დადგენილება N55); 5. ВниР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6. ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7. ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8. PNT/IB/IP-7.1-22-04-A21 ინსპექტირების პროცედურა.

3.	ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების), შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით) აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 6. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის, გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“; 7. PNT/IB/IP-7.1-22-04-A22 ინსპექტირების პროცედურა.
4.	ობიექტის ან მისი ნაწილის საინჟინრო ქსელების: • გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების; - -შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3;) 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ) 5. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 6. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“; 7. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 8. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН); 9. ისო/იეკ 11801-2017 10. PNT/IB/IP-7.1-22-04-A22 ინსპექტირების პროცედურა.

5.	ობიექტის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, საავტომობილო გზების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე) სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინების ქსელების და სისტემების) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა – ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრავიო სამუშაოების პროცესზე დასწრება/დაკვირვება და შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან. შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის პროექტთან შესაბამისობის დადგენა.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 4); 3. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 6. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე") 7. .ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 8. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის დადგენილება N 354 „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" 9. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 10. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის # 366დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ"; 11. PNT/IB/IP-7.1-22-04-A23 ინსპექტირების პროცედურა;
6.	პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის/დასკვნის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 4); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. PNT/IB/IP-7.1-22-04-A45 ინსპექტირების პროცედურა

7.	პროექტის არქიტექტურული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე") 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71) 5. PNT/IB/IP-7.1-22-04-A49 ინსპექტირების პროცედურა.
8.	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების) მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 6. PNT/IB/IP-7.1-22-04-A44 ინსპექტირების პროცედურა
9.	პროექტის საინჟინრო ქსელების: ელ. მომარაგება 1000 ვ-მდე და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები-(СНиП-ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ"

			(საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ"; 6. PNT/IB/IP-7.1-22-04-A26 ინსპექტირების პროცედურა.
10.	პროექტის საინჟინრო ქსელების: სუსტი დენების და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН); 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. ისო/იეკ 11801-2017; 6. PNT/IB/IP-7.1-22-04-A26 ინსპექტირების პროცედურა.
11.	პროექტის საინჟინრო ქსელების: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 5. PNT/IB/IP-7.1-22-04-A47 ინსპექტირების პროცედურა
12.	პროექტის საინჟინრო ქსელების: ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. PNT/IB/IP-7.1-22-04-A53 ინსპექტირების პროცედურა